

შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“

ფინანსური და მმართველობითი ანგარიშგება
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფინანსური ანგარიშგება

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	4

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. კორპორატიული ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძველი	5
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	6
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	13
5. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ამოქმედებული	14
6. შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან.....	15
7. თანამშრომელთა სარგებელი	15
8. ელექტროენერგია, მოხმარებული მასალები და ტექნიკური დახმარება.....	16
9. სხვა საოპერაციო ხარჯები	16
10. სხვა საოპერაციო შემოსავალი	16
11. ფინანსური შემოსავალი.....	16
12. საკურსო მოგება.....	16
13. ძირითადი საშუალებები	17
14. მარაგები.....	18
15. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	18
16. საგადასახადო ვალდებულება	18
17. ფული და ფულის ექვივალენტები	19
18. კაპიტალი.....	19
19. საკონტრაქტო ვალდებულება.....	19
20. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	19
21. პირობითი ვალდებულებები	20
22. ფინანსური რისკების მართვა.....	20
23. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან	22
24. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები	23

მმართველობის ანგარიშგება

1. ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ.....	25
2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები	26
3. სუბიექტის განვითარების გეგმები	27
4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული	27
5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ	27
6. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები.	27
7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები.....	28

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“-ს მენეჯმენტსა და დამფუძნებელს

უარი მოსაზრების გამოთქმაზე

ჩვენ დაგვიქირავეს შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“-ს ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩასატარებლად, რომელიც შედგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენ არ გამოვთქვამთ მოსაზრებას შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“-ს თანდართულ ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენი დასკვნის - „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხების მნიშვნელობის გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, თანდართული ფინანსური ანგარიშგების შესახებ აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი

კომპანიას 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ ჩაუტარებია ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაცია. კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერებისა და აქტივების სპეციფიკიდან გამომდინარე, სატრანსპორტო საშუალებების, მიწისა და შენობების ჯგუფის გარდა, სხვა ძირითად საშუალებებზე, ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ შევძელით დავრწმუნებულიყავით ძირითადი საშუალებების არსებობაში და ფიზიკურ კონდიციაში, ასეთი ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს შესაბამისად 3,848 და 4,518 ათას ლარს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ შესაბამის თანხებთან მიმართებაში.

კომპანიამ ვერ მოგვაწოდა საკმარისი და შესაფერისი დოკუმენტაცია მარაგების ნაწილზე რათა დავრწმუნებულიყავით მარაგების თვითღირებულების სისწორეში. ასეთი მარაგების ღირებულება 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს შესაბამისად 761 და 843 ათას ლარს. აღნიშნული მარაგები შესყიდულია 2020 წლის 1 იანვრამდე. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში და მოგება ზარალში წარდგენილ თანხებთან დაკავშირებით.

კომპანიამ ვერ მოგვაწოდა საკმარისი და შესაფერისი დოკუმენტაცია ძირითადი საშუალებების ნაწილის ისტორიულ ღირებულებასთან დაკავშირებით. ჩვენ ვერ შევძელით მიგველო მტკიცებულებები ალტერნატიული აუდიტორული პროცედურების ჩატარებით 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ძირითადი საშუალებების ისტორიულ ღირებულებაზე, რომელთა საბალანსო ღირებულება შესაბამისად შეადგენს 24,328 და 27,360 ათას ლარს. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ ძირითადი საშუალებების ღირებულებასთან დაკავშირებით.

კომპანიამ არ იმსჯელა „შუქნიშნები და საგზაო ნიშნები“-ის ჯგუფში შემავალი აქტივები, აკმაყოფილებდა თუ არა ძირითად საშუალებად აღიარების კრიტერიუმს ბასს 16 „ძირითადი საშუალებები“-ს მოთხოვნების შესაბამისად. ასეთი ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს შესაბამისად 967 და 1,323 ათას ლარს. ჩვენ ვერ შევძელით მიგველო მტკიცებულებები ალტერნატიული აუდიტორული პროცედურების ჩატარებით იმის შესახებ, რომ ამ აქტივებს იყენებს უშუალოდ კომპანია საქონლის ან მომსახურების წარმოებაში ან მისაწოდებლად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის.

ჩვენ არ დავსწრებივართ მარაგების ინვენტარიზაციას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რადგან აუდიტორებად დავინიშნეთ ამ თარიღის შემდგომ. კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერებისა და აქტივების სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ შევძელით დავრწმუნებულიყავით სასაქონლო-მატერიალური მარაგების არსებობაში და ფიზიკურ კონდიციაში, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შეადგენს შესაბამისად 1,161 და 1,506 ათას ლარს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ შესაბამის თანხებთან მიმართებაში.

კომპანიას 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საწესდებო კაპიტალში შესაბამისად აღრიცხული აქვს 20,218 და 19,954 ათასი ლარის არა ფულადი შენატანი, რომლის შესაბამისი პირველადი დოკუმენტაციაც, აუდიტის განმავლობაში კომპანიის მხრიდან ვერ იქნა მოწოდებული. შესაბამისად, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ შესაბამის თანხებთან მიმართებაში.

ჩვენ ვერ მოვიპოვეთ ინფორმაცია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი საგადასახადო ვალდებულების საგადასახადო ბარათის მონაცემებთან დადარების შედეგად გამოვლენილ სხვაობებზე და ვერც ალტერნატიული აუდიტორული პროცედურებით შევძელით მიგველო საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები საგადასახადო ვალდებულების ნაშთის სისწორეზე 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შეადგენს შესაბამისად 584 და 583 ათას ლარს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ შესაბამის თანხებთან მიმართებაში.

კომპანია 2021 წლამდე პარკინგის შემოსავლის აღრიცხვისას არ ხელმძღვანელობდა ფასს 15 „, ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“ მოთხოვნებით და პარკინგიდან მიღებულ შემოსავალს აღიარებდა საკასო მეთოდის გამოყენებით. 2021 წელს კომპანიამ შეცვალა სააღრიცხვო პოლიტიკა და აღიარა შემოსავალი პარკინგიდან ფასს 15-ის მოთხოვნების შესაბამისად, აღიარება მოხდა პროსპექტიულად შესადარისი პერიოდის დაკორექტირების გარეშე. შესაბამისად, 2020 წელს საკასო მეთოდით აღიარებული შემოსავალი კიდევ ერთხელ აღიარდა 2021 წლის პერიოდში და აღნიშნულის შედეგად 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 146 ათასი ლარით შემცირდა საკონტრაქტო ვალდებულება და გაიზარდა გაუნაწილებელი მოგება.

კომპანია 2021 წლამდე არ ხელმძღვანელობდა ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“ მოთხოვნებით და არ აღიარებდა მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს. 2021 წელს კომპანიამ შეცვალა სააღრიცხვო პოლიტიკა და აღიარა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ფასს 9-ის მოთხოვნების შესაბამისად. აღიარება მოხდა პროსპექტიულად შესადარისი პერიოდის დაკორექტირების გარეშე და სრული ხარჯი აღიარდა 2021 წელს. ძველი პერიოდის შეცდომის ასეთი ფორმით გასწორება არ შეესაბამება ბასს 8 „, სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები“-ს მოთხოვნებს. ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ აღნიშნული შეუსაბამობის ეფექტი ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სხვა გარემოებები

შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“-ს 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩაატარა სხვა აუდიტორმა, რომელმაც გამოთქვა მოდიფიცირებული მოსაზრება, უარი მოსაზრების გამოთქმაზე, ამ ანგარიშგების შესახებ 2021 წლის 25 ივნისს.

სხვა ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციის მომზადებაზე. სხვა ინფორმაცია (წარმოდგენილი 24-29 გვერდებზე) მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. როგორც აღწერილია ზემოთ - „*მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი*“ - ნაწილში, ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“-ს ფინანსურ ანგარიშგებაზე მოსაზრების გამოსათქმელად. შესაბამისად, ვერ შევძელით დასკვნის გამოტანა იმის თაობაზე, ზემოაღნიშნული სხვა ინფორმაცია შეიცავს თუ არა არსებით უზუსტობას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კომპანიის ხელმძღვანელობა ვალდებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შეაფასოს, შეუძლია თუ არა კომპანიას განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და საჭიროების შემთხვევაში, პასუხისმგებელია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და აღრიცხვის საფუძველად ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების გამჟღავნებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან მას არა აქვს აღნიშნულის განხორციელების გარდა სხვა რეალური ალტერნატივა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“-ს ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩავატაროთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და გავცეთ აუდიტორის დასკვნა. თუმცა, ჩვენი დასკვნის - „*მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი*“ - ნაწილში აღწერილი საკითხების გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, როგორც ამას ითვალისწინებს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული კოდექსი პროფესიონალი ბუღალტრებისათვის (IESBA-ის კოდექსი). შევასრულეთ IESBA-ს კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მიუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს.

შპს „ეკოვის ეი-თი-ეი ფინანსები“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)

ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A- 629166)

20 ივნისი, 2022

თბილისი, საქართველო.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მიუვითითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს.

შპს „ეკოვის ფი-თი-ფი ფინანსები“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)



ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A- 629166)

20 ივნისი, 2022

თბილისი, საქართველო.

შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2021	2020
შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან	6	2,965	2,446
საოპერაციო ხარჯები:			
თანამშრომელთა სარგებელი	7	(7,476)	(6,644)
ცვეთა და ამორტიზაცია		(3,935)	(2,133)
ელექტროენერგია, მოხმარებული მასალები და ტექნიკური დახმარება	8	(1,207)	(645)
საწვავის ხარჯი		(3,291)	(2,044)
საგადასახადო ხარჯი, გარდა მოგების გადასახადისა		(764)	(372)
სხვა საოპერაციო ხარჯები	9	(931)	(200)
სხვა საოპერაციო შემოსავალი	10	10,033	8,088
საოპერაციო ზარალი		(4,606)	(1,504)
ფინანსური შემოსავალი	11	419	113
საკურსო მოგება	12	700	150
ზარალი დაბეგვრამდე		(3,487)	(1,241)
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული ზარალი		(3,487)	(1,241)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2022 წლის 20 ივნისს:

ლევან ლაზარიაშვილი
დირექტორი

მერაბ ართმელიძე
ფინანსური დეპარტამენტის უფროსი

შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“


მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის


თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2021	2020
შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან	6	2,965	2,446
საოპერაციო ხარჯები:			
თანამშრომელთა სარგებელი	7	(7,476)	(6,644)
ცვეთა და ამორტიზაცია		(3,935)	(2,133)
ელექტროენერგია, მოხმარებული მასალები და ტექნიკური დახმარება	8	(1,207)	(645)
საწვავის ხარჯი		(3,291)	(2,044)
საგადასახადო ხარჯი, გარდა მოგების გადასახადისა		(764)	(372)
სხვა საოპერაციო ხარჯები	9	(931)	(200)
სხვა საოპერაციო შემოსავალი	10	10,033	8,088
საოპერაციო ზარალი		(4,606)	(1,504)
ფინანსური შემოსავალი	11	419	113
საკურსო მოგება	12	700	150
ზარალი დაბეგვრამდე		(3,487)	(1,241)
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული ზარალი		(3,487)	(1,241)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2022 წლის 20 ივნისს:


ლევან ლაზარიშვილი
დირექტორი




მერაბ ართმელიძე
ფინანსური დეპარტამენტის უფროსი

შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	13	42,419	27,360
არამატერიალური აქტივები		4	1
სულ გრძელვადიანი აქტივები		42,423	27,361
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	14	1,161	1,506
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	15	56	722
საგადასახადო აქტივი	16	584	583
ფული და ფულის ეკვივალენტები	17	1,667	3,287
სულ მიმდინარე აქტივები		3,468	6,098
სულ აქტივები		45,891	33,459
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	18	66,772	50,526
აკუმულირებული ზარალი	18	(24,921)	(23,962)
რეზერვები და დაფინანსება	18	-	131
გადაფასების რეზერვი	18	-	2,886
სულ კაპიტალი		41,851	29,581
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საკონტრაქტო ვალდებულება	19	3,195	3,319
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		3,195	3,319
მიმდინარე ვალდებულებები			
საკონტრაქტო ვალდებულებების მიმდინარე ნაწილი	19	191	116
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	20	654	443
სულ მიმდინარე ვალდებულებები		845	559
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		45,891	33,459

შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	საწესდებო კაპიტალი	რეზერვი და დაფინანსება	გადაფასების რეზერვი	აკუმულირებული ზარალი	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი 2019	37,289	131	3,634	(22,721)	18,333
საწესდებო კაპიტალის ზრდა, წმინდა	13,237	-	-	-	13,237
გადაფასების რეზერვის კლება	-	-	(748)	-	(748)
წლის სრული ზარალი	-	-	-	(1,241)	(1,241)
31 დეკემბერი 2020	50,526	131	2,886	(23,962)	29,581
საწესდებო კაპიტალის ზრდა, წმინდა	16,246	-	-	-	16,246
გადაფასების რეზერვის გადატანა აკუმულირებულ ზარალზე	-	(131)	(2,886)	3,017	-
დამფუძვნებელთან განხორციელებული ოპერაციები	-	-	-	(489)	(489)
წლის ზარალი	-	-	-	(3,487)	(3,487)
31 დეკემბერი 2021	66,772	-	-	(24,921)	41,851

შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	2021	2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
ზარალი დაბეგვრამდე	(3,487)	(1,241)
ცვეთა და ამორტიზაცია	3,935	2,133
საპროცენტო შემოსავალი	(419)	(113)
სხვა შემოსავალი	-	(30)
ზარალი აქტივების გასვლიდან	-	104
მარაგების გაუფასურების ხარჯი	284	-
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი	404	-
წმინდა ზარალი საკურსო სხვაობიდან	(700)	15
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები სამუშაო კაპიტალში მომხდარ ცვლილებებამდე	17	868
სამუშაო კაპიტალის კორექტირება:		
შემცირება/(ზრდა) საოპერაციო აქტივებში:		
ცვლილებები საქონელში	64	(115)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	(227)	(134)
ცვლილებები საგადასახადო ნაშთებში	(1)	(280)
(შემცირება)/ზრდა საოპერაციო ვალდებულებებში:		
ცვლილებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	911	(67)
ცვლილება საკონტრაქტო ვალდებულებებში	(49)	3,435
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები	715	3,707
მიღებული პროცენტი	419	113
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული წმინდა ფულადი სახსრები	1,134	3,820
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	(20,451)	(752)
არამატერიალური აქტივების შესყიდვა	(3)	-
საინვესტიციო აქტივობებში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	(20,454)	(752)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
საწესდებო კაპიტალის ზრდა/(შემცირება)	17,700	-
ფინანსურ აქტივობებში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	17,700	-
ნეტო ზრდა/(შემცირება) ფულის ან ფულადი ეკვივალენტების	(1,620)	3,068
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	3,287	219
კურსთა შორის სხვაობის ეფექტი ფულალდ სახსრებზე	-	-
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	1,667	3,287

შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

1. კორპორატიული ინფორმაცია

შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“ (ს/ნ 245445200) დაარსდა საქართველოში 2004 წლის 30 სექტემბერს. კომპანიის იურიდიულ მისამართი და საქმიანობის ადგილია საქართველო, ქ. ბათუმი, სულხან-საგა ორბელიანის ქ. N 13.

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დადგენილი ტარიფების შესაბამისად ავტობუსით ტრანსპორტით მომსახურება, ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრებში პარკირების ადგილების მოწყობა და ოპერირება, ასევე საგზაო მოძრაობის რეგულირებასთან დაკავშირებული ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა უზრუნველყოფა; ვიდეოკამერების მოვლა-პატრონობა და შექნიშვნების განთავსება.

კომპანიის მეწილეები: კომპანიის მეწილეების სტრუქტურა, 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგანაირად: სსიპ „თვითმმართველი ქალაქი ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი“ (ს/ნ 245445200) – 100%. კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელ მხარეს წარმოადგენს საწარველოს მთავრობა.

საქართველოს ბიზნეს გარემო. კომპანია საქმიანობას საქართველოში ახორციელებს. საქართველოს განვითარებადი ეკონომიკის გარკვეული მახასიათებლები აქვს, მათ შორის შედარებით მაღალი ინფლაციის დონე და მაღალი საპროცენტო განაკვეთები. ქართული საგადასახადო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება და ხშირ ცვლილებებს განიცდის.

საქართველოს მომავალი ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებულ ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც განხილულია სააღრიცხვო პოლიტიკაში ქვემოთ.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ლარში თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება ასევე შესაბამისობაშია საქართველოს კანონთან „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში

მიმდინარე წელს კომპანიამ გამოიყენა საბჭოს მიერ გამოშვებული ფასის სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების შემდეგი შესწორებები, რომლებიც ძალაშია 2021 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის:

- კოვიდ-19-თან დაკავშირებული ქირის შეღავათები 2021 წლის 30 ივნისის შემდგომი პერიოდებისთვის - შესწორება ფასს 16-ში.
- ამოსავალი საპროცენტო განაკვეთის რეფორმა მეორე ეტაპი - შესწორება სტანდარტებში ფასს 9, ბასს 39, ფასს 7, ფასს 4 და ფასს 16.

აღნიშნული ცვლილებების გამოყენებას არ ჰქონია რაიმე საგრძნობი ეფექტი ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტებულ თანხებზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის კომპანიის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2021 და 2020 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
2021 წლის 31 დეკემბერი	3.0976	3.5040
2020 წლის 31 დეკემბერი	3.2766	4.0233

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში არსებულ დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს სამ თვემდე ვადით. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. მოკლევადიანი მოთხოვნები, რომლებზედაც არ ვრცელდება საპროცენტო განაკვეთი, აღირიცხება ნომინალური ოდენობით. მომავალში ამოღების გარეშე დარჩენილი თანხების შესაბამისი რეზერვი აისახება მოგება-ზარალში, თუ არსებობს იმის ობიექტური მტკიცებულება, რომ აქტივი გაუფასურებულია.

მარაგები. კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდგომი შეფასებისას ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად ნორმატიული დანაკარგების გათვალისწინებით. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი, საბაჟო გადასახადი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილ მეთოდს.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

• **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება.

• **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითად საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ მოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას და დაუმონტაჟებელ მოწყობილობებს ცვეთა არ ერიცხება. ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	მომსახურების ვადა (წელი)
შენობა-ნაგებობები	20-30
მანქანა-დანადგარები	5
სატრანსპორტო საშუალებები	8
ოფისის აღჭურვილობა	5
ავეჯი	5
სხვა	5

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივებს, რომლებსაც ერიცხება ცვეთა და ამორტიზაცია, გაუფასურებაზე აფასებენ მაშინ, როდესაც მოვლენების ან გარემოებების ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ თანხის ოდენობით, რა თანხითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულება არის აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალურ ღირებულებასა და მის გამოყენებით მისაღებ ღირებულებას შორის უდიდესი.

აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ცალკეული აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივიდან არ ხდება ფულადი სახსრების შემოძინება, რომლებიც მეტწილად დამოუკიდებელია სხვა აქტივებიდან ან აქტივების ჯგუფიდან მიღებული ფულადი სახსრებისგან. როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება გადააჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას, აქტივი ითვლება გაუფასურებულად და ჩამოიწერება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე.

გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დაბეგვრამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. გაყიდვების ხარჯით შემცირებული სამართლიანი ღირებულების გამოთვლა ხდება ბოლოდროინდელი საბაზრო გარიგებების გათვალისწინებით.

ფინანსური ინსტრუმენტები. ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება აღრიცხვის სამ კატეგორიაში:

- 1) ფინანსური აქტივები, რომელთა შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზირებული ღირებულებით (SPPI);
- 2) ფინანსური აქტივები, რომელთა შემდგომი აღრიცხვა ხდება რეალური ღირებულებით ეფექტის სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI) და
- 3) ფინანსური აქტივები, რომელთა შემდგომი აღრიცხვა ხდება რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVPL).

ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციას განსაზღვრავს კომპანიის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს მოდელი და გაითვალისწინება წარმოადგენს თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდებს (SPPI). თუ სავალდებულო ინსტრუმენტის ფლობილია ხდება სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მიღების მიზნით, შესაძლებელია მისი ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხვა, თუ იგი იმავდროულად აკმაყოფილებს SPPI-ს მოთხოვნას. სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც აკმაყოფილებენ SPPI მოთხოვნას და არის ისეთი პორტფელის შემადგენლობაში, რომელსაც კომპანია ფლობს როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებისთვის, ისე გასაყიდად, მაშინ შეიძლება კლასიფიცირდეს, როგორც FVOCI. ფინანსური აქტივები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ SPPI-ს მოთხოვნებს, უნდა შეფასდეს FVPL-ით (მაგალითად, წარმოებულები). ჩართული წარმოებულების ფინანსური აქტივებისაგან განცალკევება აღარ ხდება, მაგრამ გათვალისწინებული იქნება SPPI პირობის შეფასებისას. წილობრივ ინსტრუმენტებში ინვესტიციები ყოველთვის რეალური ღირებულებით ფასდება. თუმცა, ხელმძღვანელობას შეუძლია გააკეთოს შეუქცევადი არჩევანი, რათა სამართლიანი ღირებულების ცვლილებები წარადგინოს სხვა სრულ შემოსავალში, თუკი მოცემული ინსტრუმენტი გასაყიდად არ არის გამიზნული. როდესაც წილობრივი ინსტრუმენტი ფლობილია გასაყიდად, სამართლიანი ღირებულების ცვლილებების წარდგენა ხდება მოგება-ზარალში. კომპანია სავალო ინვესტიციებს კლასიფიკაციას უცვლის მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ბიზნეს მოდელი ამ აქტივების სამართავად იცვლება.

- **აღიარება და აღიარების შეწყვეტა.** კომპანია აღიარებს ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა კომპანია ხდება სახელშეკრულებო პირობების ერთ-ერთი მხარე. ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში ფინანსური აქტივების შესყიდვებისა და გაყიდვების აღიარება ხდება ვაჭრობის დღეს, რომელ დღესაც კომპანია იღებს ვალდებულებას, რომ შეისყიდოს ან გაყიდოს აქტივს. ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც უფლებას, მიიღოს ფულადი ნაკადები ფინანსური აქტივებიდან, ვადა გაუვა ან სხვას გადასცემს და ამავე დროს გადაეცემა აქტივის ფლობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი.

კომპანია ამოიღებს ფინანსურ ვალდებულებას (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილს) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან, მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ის შეწყდება, ანუ როდესაც კონტრაქტით განსაზღვრული ვალდებულება შესრულებულია, გაუქმდება ან ვადა გაუვა. სავალო ინსტრუმენტის განახლება არსებითად განსხვავებული პირობებით, აღირიცხება როგორც შეწყვეტა ძველი ვალდებულებისა და აღიარება ახალი ვალდებულების. ანალოგიურად, არსებული ფინანსური ვალდებულების ან მისი ნაწილის პირობების არსებითი მოდიფიცირება (თუნდაც მაშინ, როდესაც ეს გამოწვეულია მსესხებლის ფინანსური სირთულეების გამო), აღირიცხება როგორც შეწყვეტა ძველი ფინანსური ვალდებულებისა და აღიარება ახალი ფინანსური ვალდებულების. განსხვავება შეწყვეტილი ან სხვაზე გადაცემული ფინანსური ვალდებულების (ან მისი ნაწილის) საბალანსო ღირებულებასა და გარიგების თანხას შორის, გადაცემული/აღებული არაფულადი აქტივების/ვალდებულებების ჩათვლით, აღიარდება მოგება-ზარალის უწყისში.

- **ღირებულების განსაზღვრა.** საწყისი აღიარებისას კომპანია ფინანსური აქტივის ღირებულებას განსაზღვრავს რეალური ღირებულებით, იმ შემთხვევაში როცა ფინანსური აქტივი არ არის აღრიცხული რეალური ღირებულებით მოგება-ზარალის უწყისში ასახვით (FVPL), ტრანზაქციის დანახარჯები, რომელიც პირდაპირ მიკუთვნება ფინანსური აქტივის შეძენაზე ემატება ღირებულებას. ფინანსური აქტივებისთვის, რომელიც აღიარებულია რეალური ღირებულებით მოგება-ზარალის უწყისში ასახვით, გარიგების დანახარჯების აღიარება ხდება ხარჯად მოგება-ზარალის უწყისში.

გარიგების დანახარჯები არის წმინდა დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან გაყიდვას. წმინდა დანახარჯი არის დანახარჯი, რომელიც არ იქნებოდა, თუ მოცემული ოპერაცია არ განხორციელდებოდა. გარიგების დანახარჯები მოიცავს აგენტების (რწმუნებულების) (მათ შორის, გაყიდვის აგენტების რანგში მოქმედი დაქირავებული პირების), კონსულტანტების, ბროკერებისა და დილერებისთვის გადახდილ საზღაურსა და საკომისიოებს, მარეგულირებელი ორგანოებისა და საფონდო ბირჟების მოსაკრებლებს, ასევე გადაცემის გადასახადებსა და მოსაკრებლებს. გარიგების დანახარჯები არ მოიცავს სავალო ფინანსური ინსტრუმენტების პრემიებსა და დისკონტებს, დაფინანსების დანახარჯებსა და შიდა ადმინისტრაციულ დანახარჯებს, ან ფლობის დანახარჯებს.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე გადანაწილების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება მომავალში, ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი ვადის განმავლობაში, გადასახდელი ან მისაღები შეფასებული ფულადი ნაკადები, ფინანსური აქტივის მთლიან (ბრუტო) საბალანსო ღირებულებამდე, ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებულ ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

განაკვეთით დისკონტირდება ცვალებადი საპროცენტო ინსტრუმენტების ფულადი ნაკადები პროცენტის შემდეგი ფასწარმოქმნის თარიღამდე, გარდა პრემიისა ან ფასდაკლებისა, რაც ასახავს საკრედიტო სპრედს ინსტრუმენტის მითითებულ მერყევ განაკვეთზე, ან სხვა ცვლადებზე, რომელთა მნიშვნელობის საბაზრო განაკვეთების მიხედვით განსაზღვრა არ ხდება. მსგავსი პრემიები ან ფასდაკლებები ამორტიზდება ინსტრუმენტის მთლიანი მომსახურების ვადის განმავლობაში. დისკონტირებული ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეების მიერ ყველა გადახდილ ან მიღებულ საფასურს, რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია. ფინანსური აქტივები მასში ჩანერგილი წარმოებულებით განიხილება ერთობლიობაში, რათა განისაზღვროს მასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირისა და პროცენტის მიღებას.

სავალო ინსტრუმენტების შემდგომ შეფასება დამოკიდებულია კომპანიის ბიზნეს მოდელზე, რომელიც გულისხმობს აქტივებისა და აქტივების ფულადნაკადობრივი მახასიათებლების მართვას. არსებობს შეფასების სამი კატეგორია, რომლის მიხედვითაც კომპანია ახდენს სავალო ინსტრუმენტების კლასიფიკაციას:

- **ამორტიზირებული ღირებულება.** აქტივები, რომლებსაც კომპანია ფლობს საკონტრაქტო ფულადი ნაკადების მისაღებად, სადაც აღნიშნული ფულადი ნაკადები წარმოადგენენ მხოლოდ ძირისა და პროცენტის ანაზღაურებას, აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით. ამ ფინანსური აქტივებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალი მიეკუთვნება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით განსაზღვრულ ფინანსურ შემოსავალს. ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი შემოსულობები და დანაკარგების აღიარება ხდება პირდაპირ მოგება-ზარალში. გაუფასურების ხარჯები ცალკე მუხლად არის წარმოდგენილი მოგება-ზარალის უწყისში.
- **FVOCI** აქტივები, რომლის ფლობის მიზანსაც წარმოადგენს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და გაყიდვა და ამავე დროს ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირს და პროცენტს წარმოადგენს ფასდება რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI). ყველა ცვლილება აისახება სხვა სრულ შემოსავალში გარდა გაუფასურებასთან დაკავშირებული შემოსულობის/ზარალისა, საპროცენტო შემოსავლისა და საკურსო სხვაობებისა, რაც აღიარდება მოგება-ზარალის უწყისში. ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტისას ამ პერიოდამდე სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული შემოსულობა/ზარალი გადაკლასიფიცირდება მოგება-ზარალის უწყისში. ასეთ ფინანსურ ინსტრუმენტებზე საპროცენტო შემოსავლის აღიარება ხდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.
- **FVPL.** აქტივები, რომლებიც არ შეესაბამებიან ამორტიზირებული ღირებულებების ან FVOCI-ის კრიტერიუმებს ფასდება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით (FVPL).

წილობრივი ინსტრუმენტები. წილობრივ ინსტრუმენტებში ინვესტიციები ყოველთვის რეალური ღირებულებით ფასდება. თუმცა, მენეჯმენტს შეუძლია გააკეთოს შეუქცევადი არჩევანი, რათა რეალური ღირებულების ცვლილებები წარადგინოს სხვა სრულ შემოსავალში, თუკი მოცემული ინსტრუმენტი გასაყიდად არ არის გამიზნული. როდესაც წილობრივი ინსტრუმენტი ფლობილია გასაყიდად, რეალური ღირებულებების ცვლილებების წარდგენა ხდება მოგება-ზარალში.

- **გაუფასურება.** კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მეთოდს რათა გაზომოს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც თავის მხრივ იყენებს სრული ვადის განმავლობაში მოსალოდნელ ზარალის ანარიცხს ყველა სავაჭრო მოთხოვნისთვის. კომპანია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად იყენებს მოთხოვნების ინდივიდუალური შეფასების მიდგომას.
- **ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია.** კომპანიის ფინანსური აქტივები ყველა წარდგენილი ანგარიშგების თარიღისთვის ხდება იმ კატეგორიაში რომელიც თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდგომ ამორტიზირებული ღირებულებით და მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს, ფულად სახსრებს და მათ ექვივალენტებს.
- **ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია.** ფინანსურ ვალდებულებებს შემდეგი შეფასების კატეგორიები გააჩნიათ: ა) გასაყიდად ფლობილი, რომელიც მოიცავს აგრეთვე ფინანსურ წარმოებულებს და ბ) სხვა ფინანსური ვალდებულებები.

გასაყიდად ფლობილი ვალდებულებები წარმოდგენილია რეალური ღირებულებით, ცვლილებები რეალურ ღირებულებაში აღიარდება მოგება-ზარალის უწყისში იმ პერიოდში როდესაც წარმოიქმნა (FVPL).

ფინანსური ვალდებულებების რეალურ ღირებულებაში ცვლილებები, იმ დროს როდესაც კომპანია იყენებს FVPL-ს მოდელს, შეუქცევადად აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში (OCI), თუ:

- სხვა სრულ შემოსავალში წარდგენა წარმოქმნის ან გაზრდის მოგება-ზარალში სააღრიცხვო შეუსაბამობებს; ან

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- ვალდებულება არის სავალო ვალდებულება ან ფინანსური გარანტიის კონტრაქტი.

• **ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთჩათვლა.** ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზების და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა. ურთიერთგადაფარვის მსგავსი უფლება (ა) არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე სამომავლო მოვლენაზე და (ბ) იურიდიულად აღსრულებადი უნდა იყოს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ გარემოებებში: 1) ჩვეულებრივი ბიზნეს-საქმიანობისას; 2) დეფოლტისას; 3) გადახდისუუნარობის ან გაკოტრებისას.

სავაჭრო-კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარე შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

წინასწარი გადახდები. წინასწარი გადახდები გამოხატულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული თვითღირებულებით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდა დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას. აქტივების შემენისთვის წინასწარი გადახდა გარდაიქმნება აქტივის მიმდინარე საბალანსო ღირებულებად, მას შემდეგ, რაც კომპანიამ მიიღო კონტროლი აქტივებზე და სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა კომპანიას. თუ არსებობს საფუძველი, რომ წინასწარ გადახდილი თანხის სანაცვლოდ არ მოხდება საქონლის ან მომსახურების მიღება, ხდება ავანსის გადაფასება და საკურსო სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში.

იჯარა. ხელშეკრულების დაწყებისას კომპანია აფასებს მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას. ხელშეკრულება მთლიანად არის საიჯარო ხელშეკრულება, ან შეიცავს იჯარას, თუ ხელშეკრულების მეშვეობით ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ. იმის შესაფასებლად, თუ რამდენად ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა, კომპანია აფასებს:

- გულისხმობს თუ არა ხელშეკრულება იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენებას
- კომპანიას აქვს იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების წესის განსაზღვრის უფლება. კომპანიას უფლება აქვს განსაზღვროს როგორ და რა მიზნით გამოიყენება აქტივი გამოყენების პერიოდის განმავლობაში. იშვიათ შემთხვევებში, როდესაც წინასწარ არის დადგენილი შესაბამისი გადაწყვეტილებები იმის თაობაზე, როგორ და რა მიზნით გამოიყენება აქტივი, კომპანიას აქვს იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების წესის განსაზღვრის უფლება თუ:
 - (i) კომპანიას აქვს აქტივის ექსპლუატაციის უფლება;
 - (ii) კომპანიამ იმგვარად დააპროექტა აქტივი (ან აქტივის გარკვეული ასპექტები), რაც თავად განსაზღვრავს, როგორ და რა მიზნით იქნება გამოყენებული აქტივი გამოყენების პერიოდის განმავლობაში.

• **კომპანია როგორც მეიჯარე.** საიჯარო კომპონენტის შემცველი ხელშეკრულების დადებისას კომპანია, ხელშეკრულებაში მოცემულ ანაზღაურებას თითოეულ საიჯარო კომპონენტზე ანაწილებს მათი შესაბამისი დამოუკიდებელი ფასების მიხედვით. როდესაც კომპანია მეიჯარეს სახით მოქმედებს, ის იჯარის დაწყებისას განსაზღვრავს იჯარა ფინანსურ იჯარას წარმოადგენს თუ საოპერაციო იჯარას.

თითოეული იჯარის კლასიფიკაციისთვის, კომპანია ახორციელებს ზოგად შეფასებას იმისა გადასცემს თუ არა იჯარა შესაბამისი აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და ანაზღაურებას. თუ კი, მაშინ იჯარა ფინანსური იჯარის სახით კლასიფიცირდებოდა; თუ არა, მაშინ საოპერაციო იჯარის სახით. აღნიშნული შეფასების ნაწილის სახით, „კომპანიამ“ გაითვალისწინა გარკვეული მაჩვენებლები, მაგალითად იყო თუ არა იჯარა აქტივის ეკონომიკური სასიცოცხლო ვადის ძირითადი ნაწილისთვის.

თუ გარიგება შეიცავს საიჯარო და არა-საიჯარო კომპონენტებს, მაშინ კომპანია ხელშეკრულებაში მოცემული ანაზღაურების გასანაწილებლად იყენებს ფასს 15-ს.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

კომპანია საოპერაციო იჯარების ფარგლებში მიღებულ საიჯარო გადახდებს აღიარებს შემოსავლის სახით წრფივი მეთოდის გამოყენებით, იჯარის ვადის მანძილზე.

სახელმწიფო გრანტი. სახელმწიფო გრანტები, მათ შორის არაფულადი გრანტები რეალური ღირებულებით, ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მაშინ, როდესაც არსებობს საკმარისი რწმუნება, რომ:

ა) კომპანია შეასრულებს გრანტთან დაკავშირებულ პირობებს; და

ბ) გრანტი იქნება მიღებული. სახელმწიფო გრანტის აღიარება არ ხდება მაშინ, სანამ კომპანიას არ ექნება იმის საკმარისი რწმუნება, რომ დააკმაყოფილებს გრანტის პირობებს და მიიღებს გრანტს.

მიღებული სუბსიდია აღრიცხულია სხვა შემოსავალში და წარდგენილია ხარჯებისგან განცალკევებით.

მოგების გადასახადი. 2016 წელს საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ რომლის მიხედვითაც კომპანიები, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე გადანაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამისი განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგება-ზარალის ანგარიშგების ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

საპენსიო შენატანები. 2018 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირის მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელდებოდა 2%-ის გადახდა, აღნიშნული ნაწილი იფარება თანამშრომლის ხელფასიდან და კომპანიას ეს ნაწილი დამატებით ხარჯად არ ეკისრება. აღნიშნულის პარალელურად დამსაქმებელი თავის მხრივ, დამატებით 2%-ს რიცხავს, რომელიც ხარჯად აღიარდება ხელფასის ხარჯის დარიცხვასთან ერთად და წარმოდგენილია ადმინისტრაციულ ხარჯებში.

რეალური ღირებულების შეფასების იერარქია. ფასს 13 მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების და ვალდებულებებისთვის იმ დაშვებების შესახებ, რაც გამოყენებულ იქნა რეალური ღირებულების განსაზღვრისას. რეალური ღირებულების იერარქია მოიცავს შემდეგ დონეებს:

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

1. იდენტური აქტივების და ვალდებულებების კოტირებული ფასი (დაუკორექტირებელი) აქტიურ ბაზარზე (1-ლი დონე);
2. პირველ დონეში შემავალი კოტირებული ფასისგან განსხვავებული სხვა ინფორმაცია, რომელიც არის დაკვირვებადი პირდაპირ ან არაპირდაპირ (მე-2 დონე); და
3. ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკვირვებადი აქტიურ ბაზარზე (მე-3 დონე).

რეალური ღირებულების იერარქია განისაზღვრება ყველაზე დაბალი დონის შესაბამისად, რომელიც არსებით გავლენას ახდენს რეალური ღირებულების განსაზღვრაზე. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები კლასიფიცირებულია ერთ-ერთ დონეში. კომპანიას არ გააჩნია რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, შესაბამისად, ისინი არაა წარმოდგენილი ფასს 13-ის მიხედვით რეალური ღირებულების იერარქიულად შეფასების პრინციპით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

შემოსავალი. კომპანია ეწევა სატრანსპორტო მომსახურებას ავტობუსებით და ახორციელებს პარკინგის ადგილების ადმინისტრირებას ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ფარგლებში.

ყველა სახის მომსახურების ვალდებულების შესრულების აღიარება კომპანიის მიერ ხდება დროის კონკრეტულ მონაკვეთში, გარდა პარკირების ადმინისტრირების მომსახურებისა, რომელსაც კომპანია აღიარებს მომხმარებლის მიერ წინასწარ გადახდილი პარკირების საფასურის პერიოდის შესაბამისად.

შემოსავალი აღიარდება წმინდა ოდენობით, დღგ-ს გამოკლებით. შემოსავალი აღირიცხება მიღებული/მისაღები ანაზღაურების საბაზრო ღირებულებით.

საკონტრაქტო ვალდებულებები. მომხმარებლებისგან მიღებული ავანსები ან კომპანიის უპირობო უფლებები საქონლის გადაცემამდე კლიენტებისგან კომპენსაციის მიღებაზე აღიარდება როგორც კონტრაქტული ვალდებულებები. კონტრაქტული ვალდებულებები აღირიცხება ავანსის გადახდისას ან გადახდის ვადის დადგომისას (ამ ორიდან რომელიც უფრო ადრე მოხდება). კონტრაქტული ვალდებულებები წარმოადგენენ კომპანიის ვალდებულებას, მომხმარებლებს გადასცენ საქონელი, რომლის სანაცვლოდაც კომპანიას მიღებული აქვს კომპენსაცია (ან კომპენსაციის გადახდის ვადა დამდგარი).

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

დივიდენდები. დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ გამოცხადებული დივიდენდი შესაბამისად აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყინულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

- **რეზერვი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის სავაჭრო მოთხოვნებსა და სახელშეკრულებო აქტივებზე**

კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მეთოდს რათა გაზომოს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც თავის მხრივ იყენებს სრული ვადის განმავლობაში მოსალოდნელ ზარალის ანარიცხს ყველა სავაჭრო მოთხოვნისთვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, კომპანიამ გამოიყენა ინდივიდუალური მიდგომა მოთხოვნებისა და ავანსებისათვის, მოსალოდნელი დანაკარგები შეფასებულ იქნა როგორც არაარსებითი საანგარიშგებო პერიოდისთვის.

- **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.**

აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება. თუ აქტივის გამოყენების ვადა შეზღუდულია რაიმე სახის საკონტრაქტო ვალდებულებით, მისი გაცვეთა ხდება საკონტრაქტო პერიოდზე.

- **საგადასახადო კანონმდებლობა.**

მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდიან. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

5. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ამოქმედებული

კომპანიას ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში არ მოუხდენია ნაადრევი გამოყენება იმ ახალი სტანდარტების, ინტერპრეტაციების და ცვლილებების, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის შესული ძალაში. მოსალოდნელია, რომ ქვემოთ მოცემული ახალი და კორექტირებული სტანდარტები, არ მოახდენენ მნიშვნელოვან გავლენას მომავალში კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ძირითადი საშუალებები: შემოსავალი გამიზნულ გამოყენებამდე (ბასს-16-ის კორექტირება);
- კონცეპტუალური ჩარჩოს მითითებები (ფასს 3-ის კორექტირება);
- წლიური გაუმჯობესებები ფასს-ებში 2018-2020
- ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე და გრძელვადიანის სახით (ბასს 1-ის კორექტირებები);
- ფასს 17 სადაზღვევო ხელშეკრულებები და კორექტირებები სადაზღვევო ხელშეკრულებებში.
- სააღრიცხო შეფასების განმარტება (ცვლილება ბასს 8-ში).

შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

6. შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

	2021	2020
ამონაგები სატრანსპორტო მომსახურებიდან	2,222	1,729
ამონაგები პარკირების მომსახურებიდან	596	433
სხვა შემოსავალი	147	284
	2,965	2,446

დეზაგრეგირებული ინფორმაცია სატრანსპორტო მომსახურებიდან მიღებული შემოსავლების შესახებ:

	2021	2020
ამონაგები საქალაქო მარშრუტებიდან	2,125	1,658
ამონაგები საქალაქთაშორისო მარშრუტებიდან	97	71
	2,222	1,729

მოქალაქეთა გარკვეული კატეგორია ქ. ბათუმის ადმინისტრაციულ ფარგლებში ავტობუსების რეგულარული რეისებისათვის გათავისუფლებულია ღირებულების გადახდის ვალდებულებისაგან, ან სარგებლობს ფასდაკლებით პლასტიკური საშვით ერთჯერადად გადახდისთვის. ფასდაკლების ოდენობას კომპანიას უნაზღაურებს ქ. ბათუმის მერია. 2021 წელს კომპანიამ ქ. ბათუმის მერიისგან მიიღო ასეთი კომპენსაცია 947 ლარი (2020: 636 ლარი).

დეზაგრეგირებული ინფორმაცია სხვა შემოსავლების შესახებ:

	2021	2020
შემოსავალი რეკლამიდან	110	104
კერძო დაკვეთებიდან მიღებული შემოსავალი მგზავრთა გადაყვანიდან	14	140
შემოსავალი ველოსიპედების გაქირავებიდან	14	3
კერძო დაკვეთებიდან მიღებული შემოსავალი პარკინგის მოწყობიდან	-	19
სხვა	9	18
	147	284

ინფორმაცია სახელშეკრულებო მოთხოვნა/ვალდებულებებზე:

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
საკონტრაქტო ვალდებულება (შენიშვნა 19)	3,386	3,435

7. თანამშრომელთა სარგებელი

	2021	2020
მძღოლების ხელფასი	(5,315)	(4,654)
ადმინისტრაციის და სხვა ტექნიკური პერსონალის ხელფასი	(2,092)	(1,915)
სხვა	(69)	(75)
	(7,476)	(6,644)

შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

8. ელექტროენერგია, მოხმარებული მასალები და ტექნიკური დახმარება

	2021	2020
ავტობუსის მოვლა/პატრონობის ხარჯი	(809)	(491)
კომუნალური ხარჯი	(190)	(62)
პარკირების მასალის ხარჯი	(122)	(58)
კომუნიკაციის ხარჯი	(38)	(32)
ტექნიკური დახმარების ხარჯი	(43)	(1)
სხვა	(5)	(1)
	(1,207)	(645)

9. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2021	2020
მოსალოდნელი საკრედიტოს დანაკარგების რეზერვის ხარჯი	(404)	-
მარაგების გაუფასურების ხარჯი	(284)	-
საკონსულტაციო ხარჯები	(46)	(72)
ზარალი ძირითადი საშუალებების აღიარების შეწყვეტიდან	(56)	-
მგზავრთა გადაყვანის უფლების ხარჯი	(51)	(18)
აუქციონის ხარჯები	(35)	-
პერსონალის სწავლების ხარჯები	-	(57)
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	-	(10)
სხვა	(55)	(43)
	(931)	(200)

10. სხვა საოპერაციო შემოსავალი

	2021	2020
ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის დაფინანსება	9,968	7,878
უსასყიდლოდ მიღებული ძირითადი საშუალებები	-	295
უსასყიდლოდ გადაცემული ძირითადი საშუალებები	-	(103)
სხვა შემოსავალი	65	18
	10,033	8,088

სახელმწიფო გრანტი მიღებულია წლის განმავლობაში გაწეული ხარჯების (საწვავი და ხელფასები) კომპენსაციის მიზნით.

11. ფინანსური შემოსავალი

ფინანსური შემოსავალი სრულად უკავშირდება ფინანსურ ინსტიტუტებში განთავსებულ თანხებზე დარიცხულ სარგებელს.

12. საკურსო მოგება

	2021	2020
სავაჭრო ვალდებულებები	700	150

კომპანიამ 2021 წელს შეისყიდა ავტობუსები და ავტობუსების ნაწილები, მომწოდებლებთან ხელშეკრულებები გაფორმებული იყო უცხოურ ვალუტაში (ევროში).

შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

13. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	კომპიუტერული ტექნიკა და სხვა საოფისე ინვენტარი	შუქნიშნები და საგზაო ნიშნები	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
31 დეკემბერი 2019	1,082	2,882	510	25,345	4,247	2,618	171	36,855
შემოსვლა	30	6	1,914	11,479	326	105	158	14,018
გასვლა	-	-	(1)	(147)	(15)	-	-	(163)
31 დეკემბერი 2020	1,112	2,888	2,423	36,677	4,558	2,723	329	50,710
შემოსვლა	-	615	295	20,166	7	19	3	21,105
გასვლა	-	(111)	-	(3,535)	-	-	-	(3,646)
31 დეკემბერი 2021	1,112	3,392	2,718	53,308	4,565	2,742	332	68,169
დაგროვილი ცვეთა								
31 დეკემბერი 2019	-	(835)	(373)	(15,197)	(3,226)	(860)	(40)	(20,531)
შემოსვლა	-	(102)	(89)	(1,754)	(340)	(540)	(54)	(2,879)
გასვლა	-	-	-	53	7	-	-	60
31 დეკემბერი 2020	-	(937)	(462)	(16,898)	(3,559)	(1,400)	(94)	(23,350)
შემოსვლა	-	(124)	(416)	(2,817)	(146)	(375)	(57)	(3,935)
გასვლა	-	9	-	1,526	-	-	-	1,535
31 დეკემბერი 2021	-	(1,052)	(878)	(18,189)	(3,705)	(1,775)	(151)	(25,750)
საბალანსო ღირებულება								
31 დეკემბერი 2020	1,112	1,951	1,961	19,779	999	1,323	235	27,360
31 დეკემბერი 2021	1,112	2,340	1,840	35,119	860	967	181	42,419

2021 წლის განმავლობაში კომპანიამ შეისყიდა Isuzu-ს მარკის 20 ერთეული 10 მეტრიანი და 24 ერთეული 8 მეტრიანი ავტობუსი. კომპანიის ავტოპარკი შედგება 80 ერთეული Isuzu-ს მარკის და 8 ელექტრო ავტობუსისგან.

შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

14. მარაგები

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
სათადარიგო ნაწილები და სახარჯი მასალები	1,370	1,417
საწვავი	51	66
სხვა	24	23
სულ	1,445	1,506
კორექტირება ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე	(284)	-
მარაგები, ნეტო	1,161	1,506

15. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
სავაჭრო მოთხოვნები	125	716
სხვა მოთხოვნები	3	67
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	128	722
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	(72)	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ნეტო	56	722

ფინანსური აქტივების სამართლიანი ღირებულება საბალანსო ღირებულების იდენტურია აქტივების მოკლევადიანობიდან გამომდინარე.

საექვო ვალების გაუფასურების რეზერვის მოძრაობა:

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ბალანსი პერიოდის დასაწყისში	-	-
მოთხოვნებზე აღიარებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(404)	-
წლის განმავლობაში ჩამოწერილი თანხები	332	-
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთი	(72)	-

16. საგადასახადო ვალდებულება

2016 წლის 1 იანვრიდან, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შესაბამისად ყველა საგადასახადო ვალდებულება ირიცხება ერთიან სახაზინო ანგარიშზე/კოდზე, შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში, საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ნეტო თანხით.

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა ჯგუფზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც შემოღებულია ძალაში შესვლის განსხვავებული თარიღი. ახალი ნორმატიული აქტის თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგებას, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება აქვთ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

17. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტების ნაშთები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
საბანკო ნაშთები	1,666	3,287
ნაღდი ფული	1	-
	1,667	3,287

ფულადი სახსრები მოიცავს ადგილობრივ ბანკში, ლარის მიმდინარე ანგარიშზე განთავსებულ თანხებს.

საბანკო ანგარიშზე არსებულ ნაშთებზე კომპანიას ერიცხება სარგებელი - 16.8%-ის ოდენობით.

2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკში არსებული ნაშთები განთავსებულია ბანკებში, რომლებსაც ფიტჩის სარეიტინგო სააგენტოს მიერ მინიჭებული აქვთ B (მოკლევადიანი) და B+/BB- (გრძელვადიანი) რეიტინგი.

18. კაპიტალი

ინფორმაცია კომპანიის მეწილეების შესახებ წარმოდგენილია პირველ შენიშვნაში.

საწესდებო კაპიტალი

2021 წელს კომპანიის საწესდებო კაპიტალი ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტმა გაზარდა 18,268 ლარით, აქედან ფულადი ფორმით განხორციელებული შენატანი შეადგენდა 17,700 ლარს, ხოლო არა ფულადი ფორმით (კაპიტალში შეტანილია შენობა, უსასყიდლო და უვადო უზუფრუქტის ფორმით) 568 ლარს.

დივიდენდები

კომპანიას 2021 წელს არ გამოუცხადებია და არ გაუცია დივიდენდი.

19. საკონტრაქტო ვალდებულება

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
სარეკლამო მომსახურებიდან მიღებული ავანსი	3,195	3,319
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	3,195	3,319
სარეკლამო მომსახურებიდან მიღებული ავანსის მიმდინარე ნაწილი	116	116
პარკირების მომსახურებიდან მიღებული ავანსები	75	-
	3,386	3,435

საკონტრაქტო ვალდებულება სარეკლამო მომსახურების გაწევის ხელშეკრულებიდან წარმოადგენს გამოცხადებული ტენდერის ფარგლებში მიღებულ თანხას. 2020 წელს კომპანიამ გამოაცხადა ტენდერი სარეკლამო კომპანიებისათვის, რომლის ფარგლებში გამარჯვებულს ეძლეოდა კომპანიის კუთვნილი სარეკლამო ფართობების გამოყენების უფლება 30 წლით, 2020 წლის აგვისტოდან მოყოლებული. ტენდერში გაიმარჯვა შპს „ალმამ“ და კომპანიას დღგ-ის ჩათვლით გადაუხადა 4,100 ათასი ლარი. ხელშეკრულება გაფორმდა 2020 წლის 27 აგვისტოს. შემოსავალი პერიოდის განმავლობაში აღირიცხება წრფივად.

20. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
სავაჭრო ვალდებულებები	537	434
გადასახდელი ხელფასები	117	9
	654	443

21. პირობითი ვალდებულებები**გადასახადები**

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და დამატებითი რეზერვების შექმნა 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს კომპანიის შემოწმება შეუძლიათ ბოლო სამი წლის განმავლობაში.

სასამართლო დავები

დროდადრო, ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, შეიძლება კომპანიის წინააღმდეგ პრეტენზიები იქნას წამოყენებული. საკუთარი შეფასების საფუძველზე, აგრეთვე შიდა და გარე პროფესიული კონსულტაციების საფუძველზე, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არანაირი არსებითი დანაკარგი არ იქნება გამოწვეული მიმდინარე სასამართლო დავების შედეგად.

22. ფინანსური რისკების მართვა

კომპანიაში რისკის მართვის ფუნქციის შესრულება ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და იურიდიულ რისკებთან მიმართებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო, საპროცენტო და სხვა ფასის რისკი), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია რისკის ზღვრების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკები აღნიშნულ ზღვრებში დარჩეს. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციები გამიზნულია იმის უზრუნველყოფისათვის, რომ სათანადოდ ფუნქციონირებდეს შიდა პოლიტიკა და პროცედურები, რათა მინიმუმამდე შემცირდეს შესაბამისი რისკები.

კომპანიის ძირითად ფინანსურ ვალდებულებებს წარმოადგენს სავაჭრო ვალდებულება. ფინანსური ვალდებულებები აფინანსებს კომპანიის საოპერაციო და საინვესტიციო აქტივობებს. კომპანიის ძირითადი ფინანსური აქტივებია სავაჭრო მოთხოვნები და ფული პროდუქციის რეალიზაციიდან და მომსახურების გაწევიდან.

კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის. მენეჯმენტი ყოველთვიური რეპორტების მიმოხილვის საფუძველზე ადგენს დანერგილი პროცესების ეფექტურობასა და იმ მიზნებისა და პოლიტიკის ეფექტურობას შესაბამისობას რომელსაც დანერგილი პროცესები არეგულირებს.

საკრედიტო რისკი

კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება ფინანსური აქტივებიდან, რომელიც მოიცავს ფულს საბანკო ანგარიშებზე და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური აქტივები	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	56	722
ფული და ფულის ექვივალენტები	1,667	3,287
	1,723	4,009

შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

22. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკების კონცენტრაცია. კომპანიის საკრედიტო რისკი ძირითადად განპირობებულია კრედიტზე გაყიდვებით. თუმცა კომპანიის ბიზნეს მოდელიდან გამომდინარე, მომსახურების საფასურს კომპანია უმეტეს შემთხვევაში იღებს წინასწარ და შესაბამისად არ გააჩნია მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკი.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტის ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად.

არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი). კომპანიას არ აქვს მიღებული სესხები, შესაბამისად საპროცენტო რისკი არ წარმოეშება.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო. კომპანიას წარმოეშება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში.

სავალუტო რისკის ზეგავლენა 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

ფინანსური აქტივები	ლარი	დოლარი	ევრო	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	56	-	-	56
ფული და ფულის ექვივალენტები	1,667	-	-	1,667
სულ ფინანსური აქტივები	1,723	-	-	1,723
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	428	-	109	537
გადასახდელი ხელფასები	117	-	-	117
საკონტრაქტო ვალდებულება	3,386	-	-	3,386
სულ ფინანსური ვალდებულებები	3,931	-	109	4,040

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები არ ჰქონია.

კომპანიას არ აქვს უცხოურ ვალუტის კურსის ცვლილებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა საბრუნავი კაპიტალის ეფექტურ მართვასთან დაკავშირებით. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ კომპანია შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში.

ფულადი ნაკადების მართვის მიზანია, რომ მუდმივად იქონიონ საოპერაციო ხარჯებისა და ფინანსური ვალდებულებების მომსახურებისთვის საჭირო ფულადი სახსრები.

ქვემოთ, ცხრილში მოყვანილია ვალდებულებები, რომლებიც დაჯგუფებულია მათი დარჩენილი სახელშეკრულებო ვადების მიხედვით. გადახდა უცხოურ ვალუტაში გამოითვლება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის არსებული სავალუტო სპოტ-კურსის მიხედვით.

შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

22. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ნაჩვენებია კომპანიის ფინანსური ვალდებულებების მთლიანი თანხა საბალანსო ღირებულებებით, დაჯგუფებული დაფარვის ვადების მიხედვით:

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ფინანსური ვალდებულებები	1 წლამდე	1 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	654	-	-	654
საკონტრაქტო ვალდებულება	191	347	2,848	3,386
სულ ვალდებულებები	845	347	2,848	4,040

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ფინანსური ვალდებულებები	1 წლამდე	1 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	452	-	-	452
საკონტრაქტო ვალდებულება	116	347	2,963	3,426
სულ ვალდებულებები	568	347	3,079	3,878

რეალური ღირებულება

ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება, რომლებიც წარდგენილია რეალური ღირებულებით შეფასებულია რეალური ღირებულების იერარქიის მესამე დონეზე.

კაპიტალის მართვა

კომპანიის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს მფლობელებისთვის სარგებლის მოტანა; და
- უზრუნველყოს ხარჯების ოპტიმიზაცია.

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით.

23. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები, როგორც წესი, განიხილება, რომ ურთერთდაკავშირებულნი არიან, თუ იმყოფებიან საერთო კონტროლის ქვეშ ან თუ ერთ მხარეს აქვს სხვა მხარის კონტროლის უნარი ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მეორე მხარეზე ან განახორციელოს ერთობლივი კონტროლი მეორე მხარეზე ფინანსური და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღებაში.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	კავშირის სახე	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	მშობელი საწარმო	43	67
მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	კავშირის სახე	2021	2020
სხვა საოპერაციო შემოსავალი	მშობელი საწარმო	9,968	7,878
შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან	მშობელი საწარმო	947	636
სხვა საოპერაციო შემოსავალი	მშობელი საწარმო	-	295
სხვა საოპერაციო შემოსავალი	მშობელი საწარმო	-	(103)
		2021	2020
უმაღლესი მმართველობითი რგოლის ხელფასი		146	145

24. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არ მომხდარა ისეთი მოვლენა რაც მოითხოვს დამატებით ახსნა-განმარტებას ფინანსურ ანგარიშგებაში.

შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“

მმართველობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“

მმართველობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

1. ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“ (შემდგომში „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის დირექტორია ლევან ლაზარიაშვილი.

კომპანიის საქმიანობის სახე და ძირითადი სამოქმედო ბაზრები

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ავტოტრანსპორტით მგზავრთა რეგულარული გადაყვანა დადგენილი მარშრუტებით, საგზაო მოძრაობის რეგულირებასთან დაკავშირებული ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებების უზრუნველყოფა, ველობილიკების მოწყობა, პარკირების სერვისის ეფექტური სისტემის უზრუნველყოფა, საგზაო ღონისძიებების განხორციელება, შუქნიშნების მუშაობის კონტროლი, ექსპლუატაცია და მოვლა-პატრონობა.

კომპანიის ეკონომიკური საქმიანობა რეგულირებულია ბათუმის ადმინისტრაციულ საზღვრებში, ამასთან კომპანიის 6 ავტობუსი ემსახურება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ექვს სოფელს. რეგულირებული ეკონომიკური საქმიანობის ფასები დადგენილია ბათუმის მუნიციპალური საკრებულოს გადაწყვეტილებით.

შემოსავალი ძირითადად გენერირებულია მგზავრთა მიერ გადახდილი მგზავრობის საფასურიდან, პარკირებიდან მიღებულ შემოსავლიდან და სხვა შემოსავლებიდან.

კომპანიის შემოსავლები ძირითადი მიმართულებების მიხედვით არის შემდეგი:

	2021	2020
ამონაგები სატრანსპორტო მომსახურებიდან	2,222	1,729
ამონაგები პარკირების მომსახურებიდან	596	433
სხვა შემოსავალი	147	284

კომპანიის სტრუქტურა

კომპანიის საქმიანობას უზრუნველყოფს ადმინისტრაცია და ტექნიკური სამსახური. საშტატო განრიგი განისაზღვრება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე. 2021 დამტკიცებული საშტატო განრიგით თანამშრომელთა რაოდენობა შეადგენდა 547 კაცს. 2021 წელს კომპანიის სტრუქტურა განისაზღვრებოდა შემდეგი სამსახურებისგან: ადმინისტრაცია, შრომის და ტექნიკური უსაფრთხოების სამსახური, ფინანსური განყოფილება, ოპერაციული სამსახური, ტექნიკური სამსახური, ქონების და მარაგების მართვის სამსახური და დაცვის სამსახური, მათ დაქვემდებარებაში მყოფი სამყოფილებებით.

კომპანია არ ფლობს ინვესტიციებს სხვა კომპანიებში.

სოციალური პასუხისმგებლობა

მგზავრთა სოციალური კეთილდღეობის გასაძლიერებლად ბათუმის მუნიციპალური ბიუჯეტიდან ანაზღაურდება გარკვეული კატეგორიის მოქალაქეთა მგზავრობის საფასურის ოდენობა:

უფასო მგზავრობა:

- ბათუმის ხანდაზმულთა სოციალური ცენტრის ბენეფიციარები;
- ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები;
- 0- 70 000 ქულის მქონე ბენეფიციარები;
- შშმ პირები;
- მოსწავლეები;

შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“

მმართველობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

1. ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ (გაგრძელება)

50%-იანი თანადაფინანსება:

- მასწავლებლები;
- სტუდენტები;
- იძულებით გადაადგილებული პირები;
- ასაკით პენსიონერები;
- საბავშვო ბაღების და ბიბლიოთეკების თანამშრომლები, რომელთა შრომის ანაზღაურება არ აღემატება თვეში 625 ლარს;

2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ფინანსური მაჩვენებლები

2021 წლის შემოსავალმა შეადგინა 2,965 ლარი, კომპანიის შემოსავალი წინა წელთან შედარებით გაზრდილია 21%-ით.

ძირითადი კოეფიციენტები:

	2021	2020
მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი (Quick Ratio)	2.68%	8.20%
სოპერაციო მოგება/(ზარალი) (Gross profit/(loss))	(4,606)	(1,504)
სულ აქტივები (Total Assets)	45,891	33,459
სულ შემოსავლები (Total Revenue)	2,965	2,446
დასაქმებულთა საშუალო მაჩვენებელი (Average employees)	514	551

არაფინანსური მაჩვენებლები

თანამშრომლები: შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტის“ პერსონალის რაოდენობა წლის განმავლობაში მერყეობდა 507 დან 519-მდე. კომპანიაში საერთო დასაქმებულების საშუალო რაოდენობა 2021 წელს შეადგენდა 514-ს (2020-551). კომპანიას აქვს კარგად განსაზღვრული დასაქმების პოლიტიკა და არჩევს მხოლოდ შესაბამისი კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და უნარების მქონე კანდიდატებს.

ძირითადი მომწოდებლები და კლიენტები: კომპანია შესყიდვების უმეტესობას ახორციელებს საჯარო ტენდერების მეშვეობით, შესაბამისად კომპანიის მომწოდებლებს წარმოადგენენ სხვადასხვა როგორც ადგილობრივი რეზიდენტი კომპანიები, ასევე არარეზიდენტი კომპანიები.

როგორც ეს ზემოთ აღინიშნა, კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ავტოტრანსპორტით მგზავრთა რეგულარული გადაყვანა დაგეგმილი მარშრუტებით. კომპანიის საქმიანობა რეგულირებულია ბათუმის ადმინისტრაციულ საზღვრებში, შესაბამისად კომპანიის კლიენტებს წარმოადგენენ ქ. ბათუმის ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეები.

ურთიერთობა სახელმწიფო უწყებებთან: კომპანია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დაარსებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანია არ ხვდება დამატებით რომელიმე სახელმწიფო უწყების რეგულირების სფეროში. კომპანიას საგადასახადო შემოწმება არ გაუვლია.

შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“

მმართველობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

3. სუბიექტის განვითარების გეგმები

კომპანიის მთავარ მიზანს წარმოადგენს შეუფერხებელი და ეფექტური მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისის და პარკირების ეფექტური სისტემის შექმნა. ქალაქის მოწესრიგებული სატრანსპორტო ნაკადების მოძრაობა და შეუფერხებელი და ხარისხიანი მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისი. კომპანიის საქმიანობის მიზანს წარმოადგენს სატრანსპორტო ქსელის მიერ მომხმარებელთა საჭიროების დაკმაყოფილების უზრუნველყოფა. სატრანსპორტო ქსელის ხარჯების ეფექტურობის გაზრდა, მდგრადი და ეკოლოგიური მუნიციპალური სატრანსპორტო სისტემის ჩამოყალიბება და ფუნქციონირება და მგზავრთა კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა. კომპანია ავტოპარკის განახლების მიზნით გეგმავს 65 ახალი ავტობუსის შეძენას.

ასევე კომპანიის ერთ-ერთ საქმიანობას შეადგენს ქალაქში ველოსისტემის განვითარება, რომლის მიზანია გადაადგილების მდგრადი, ალტერნატიული საშუალებების განვითარების ხელშეწყობა, ადამიანებზე, ჯანმრთელობასა და გარემოზე ტრანსპორტის მავნე ზემოქმედების შემცირება, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება, ხმაურის, სითბური აირების ემისიებისა და ენერგო მოხმარების შემცირება.

4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

2021 წელს კომპანია არ იყო ჩართული კვლევებში და მსგავს ღონისძიებებში.

5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2021 წელს არ მომხდარა კომპანიის მიერ საკუთარი აქციების შეძენა.

6. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები.

წლიდან წლამდე დამდგარი მნიშვნელოვანი ცვლილებები:

ფინანსური ანგარიშგების არე	2021	2020	გადახრის ახსნა
საერთო მოგება	2,965	2,446	შენიშვნა 1
ძირითადი საშუალებები	42,419	27,360	შენიშვნა 2
კაპიტალი	66,772	50,526	შენიშვნა 2

შენიშვნა #1:

საერთო მოგების ზრდა უკავშირდება კომპანიის მიერ 2021 წელს გადაყვანილი მგზავრთა რაოდენობის ზრდას, კომპანიამ 2021 წელს სულ გადაიყვანა 7,214 მგზავრი, რაც წინა წლის მონაცემებთან შედარებით 1,646-ით მეტია. გადაყვანილი მგზავრებიდან უფასოდ და 50%-იანი ფასდაკლებით ისარგებლა 3,521 მგზავრმა (2020 წელს: 2,703).

შენიშვნა #2:

კომპანიამ 2021 წელს შეისყიდა 20 ერთეული 10 მეტრიანი და 24 ერთეული 8 მეტრიანი Isuzu-ს მარკის ავტობუსები, რომელთა ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 20,157 ლარი. აღნიშნული შესყიდვის დაფინანსების მიზნით მშობელმა კომპანიამ განახორციელა კაპიტალში შენატანი 17,700 ლარის ოდენობით. ასევე 2021 წელს მშობელი საწარმოს მიერ კაპიტალში უზუფრუქტის ფორმით შეტანილ იქნა შენობა, რომლის საბაზრო ღირებულებამ შეადგინა 564 ლარი.

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები**საქართველოსთან დაკავშირებული მაკროეკონომიკური და პოლიტიკური რისკები:**

კომპანია ძირითადად საქმიანობს საქართველოში და მისი ბრუნვა მთლიანად მოდის საქართველოზე. შესაბამისად, კომპანიის საქმიანობის შედეგებზე, ზრდასა და განვითარებაზე საგრძნობლად მოქმედებს და მომავალშიც იმოქმედებს ქვეყნის ბიზნეს გარემო და პოლიტიკური ფაქტორები. ქვემოთ ცხრილში მოცემულია ქვეყნის ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრები:

	2021	2020
მოსახლეობის რიცხოვნობა 31 დეკემბრისთვის	3,688	3,729
მშპ მიმდინარე ფასებში, მილიარდი აშშ დოლარი	18.7	15.9
მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), აშშ დოლარი	5,015	4,275
მშპ-ის რეალური ზრდა, %	10.4%	(6.2%)
საშუალო წლიური ინფლაცია	13.9%	5.2%
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები FDI (მილიონი აშშ დოლარი)	1,152.8	616.9
უმუშევრობის დონე, %	20.6%	18.5%

საკრედიტო რისკი და მისი მართვის მექანიზმები

კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ საქონლის/მომსახურების კრედიტით გაყიდვით და პარტნიორებთან სხვა ოპერაციებით, რაც წარმოქმნის ფინანსურ აქტივებს. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

საკრედიტო რისკების კონცენტრაცია. კომპანიის საკრედიტო რისკი ძირითადად განპირობებულია კრედიტზე გაყიდვებით. თუმცა კომპანიის ბიზნეს მოდელიდან გამომდინარე, მომსახურების საფასურს კომპანია უმეტეს შემთხვევაში იღებს წინასწარ და შესაბამისად არ გააჩნია მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკი.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტის ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად.

არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი). კომპანიას არ აქვს მიღებული სესხები, შესაბამისად საპროცენტო რისკი არ წარმოეშვება.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას წარმოეშვება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა საბრუნავი კაპიტალის ეფექტურ მართვასთან დაკავშირებით. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ კომპანია შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში.

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

ფულადი ნაკადების მართვის მიზანია, რომ მუდმივად იქონიონ საოპერაციო ხარჯებისა და ფინანსური ვალდებულებების მომსახურებისთვის საჭირო ფულადი სახსრები.

ქვემოთ, ცხრილში მოყვანილია ვალდებულებები, რომლებიც დაჯგუფებულია მათი დარჩენილი სახელშეკრულებო ვადების მიხედვით. გადახდა უცხოურ ვალუტაში გამოითვლება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის არსებული სავალუტო სპოტ-კურსის მიხედვით.

კაპიტალის მართვა

კომპანიის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს მფლობელებისთვის სარგებლის მოტანა; და
- უზრუნველყოს ხარჯების ოპტიმიზაცია.

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით.

მმართველობითი ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2022 წლის 20 ივნისს.

ლევან ლაზარიაშვილი
დირექტორი

შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“

მმართველობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

ფულადი ნაკადების მართვის მიზანია, რომ მუდმივად იქონიონ საოპერაციო ხარჯებისა და ფინანსური ვალდებულებების მომსახურებისთვის საჭირო ფულადი სახსრები.

ქვემოთ, ცხრილში მოყვანილია ვალდებულებები, რომლებიც დაჯგუფებულია მათი დარჩენილი სახელშეკრულებო ვადების მიხედვით. გადახდა უცხოურ ვალუტაში გამოითვლება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის არსებული სავალუტო სპოტ-კურსის მიხედვით.

კაპიტალის მართვა

კომპანიის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს მფლობელებისთვის სარგებლის მოტანა; და
- უზრუნველყოს ხარჯების ოპტიმიზაცია.

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით.

მმართველობითი ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2022 წლის 20 ივნისს.

ლევან ლაზარიაშვილი
დირექტორი

